ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19

ქ.თბილისი

25 მაისი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორი ვახტანგ ლომჯარია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანმა ისაუბრა „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას" გათავისუფლების შესახებ" საკითხზე და აღნიშნა, რომ ინვესტორს, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულებად განესაზღვრა დენდროლოგიური პარკის გაშენება 15 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, სამი მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული პირობები არარეალური და ინვესტორისთვის არარენტაბელურია. აქედან გამომდინარე, ინვესტორმა მიიღო ჯარიმის გადახდის და ხელშეკრულების გაწყვეტის გადაწვეტილება, რაც მისთვის უფრო მომგებიანია. მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ტერიტორიის ნახევარზე ინვესტორი განახორციელებს მშენებლობას, რომლის საერთო ფართის 6.5% დაუბრუნებს მუნიციპალიტეტს, ხოლო მეორე ნახევარზე - გააშენებს პარკს. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების შედეგად, ქალაქის სასარგებლოდ, მოხდება დაახლოებით ექვსი მილიონი ლარის მობილიზება.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა არის თუ არა გაკეთებული კალკულაცია და არსებობს თუ არა იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ქალაქი მიიღებს იმ სარგებელს, რაზეც საუბრობს ბექა დავითულიანი, რადგან საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალებით მსგავსი არაფერი იკვეთება. მისი თქმით, ინვესტორი არ გააშენებს პარკს და ტერიტორიის მეორე ნახევარზეც აშენდება კორპუსები, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქის საკუთრებაში არსებული მილიონობით ლარის ქონების განკარგვა მოხდება კორუფციულად და ამაზე პასუხისმგებელი იქნება საკრებულოს უმრავლესობა.

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ორიენტირებული არიან საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში, რაზეც მეტყველებს მათ მიერ არაერთხელ გაკეთებული უსაფუძვლო ბრალდებები და განცხადებები. სწორედ ამასვე ემსახურებოდა რამდენიმე დღის წინ ლევან ხაბეიშვილის მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ზე გაკეთებული განცხადება, თითქოს მთაწმინდის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოების შესრულება არ სრულდება დროში და ამაზე რეაგირება არ აქვს გამგეობას. არსებობს გამგებლის მიერ კომპანიისთვის მიწერილი სამი გამაფთხილებელი წერილი, რომ თუ სამუშაოებს არ დაასრულებდნენ განსაზღვრულ ვადაში, კომპანიას დაეკისრებოდა ჯარიმა. მისი თქმით, ასევე არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტიც, რომ კომპანიას უკვე ორი კვირაა ერიცხება ყოველდღიური ჯარიმა. ჯაბა ჯიშკარიანმა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინა სხდომას და შემდგომ გადასცა ლევან ხაბეიშვილს.

რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ ლევან ხაბეიშვილმა, ორიოდე დღის წინ, ტელეეთერით გააკეთა განცხადება, რომ მთაწმინდის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩაზე ირღვეოდა ტენდერის პირობები და მოითხოვა, რომ აღნიშნული საკითხი შეესწავლა საკრებულოს სარევიზიო კომისიას. ამ უკანასკნელმა ჩაატარა კვლევა და აღმოჩნდა, რომ კომპანიამ სამუშაოების დასრულება ვერ შეძლო სატენდერო პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქცია. რამინა ბერაძემ „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი

მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია, თუ რა პირობებით გაფორმდა კომპანიასთან პირველი ხელშეკრულება, როგორ განვითარდა მოვლენები, რა შეთანხმებაა დღეს მიღწეული და განაცხადა, რომ ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარების, გამოსწორების და ხალხის კეთილდღეობისთვის უკეთესი პროექტის მიწოდების ვალდებულებას იღებს.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლების საუბრიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ყველაფერი რიგზეა, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც თანხა იხარჯება არამიზნობრივად. კერძოდ: გზების დაგება ხდება იმ ქუჩებზე, სადაც ეს აუცილებელი არ არის; შენობები კეთდება ისე, რომ ამა თუ იმ უბნისთვის დამახასიათებელი ტრადიციული აგურის შენობები იქცევა „რუსულ ყაზარმულ სტილად“; რამდენიმე დღის წინ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გასცა დემონტაჟის უფლება თოიძის სახელობის სამხატვრო აკადემიის სისტემაში შემავალ შენობაზე, რომელიც, კვლევების საფუძველზე, უნდა შესულიყო ძეგლთა ნუსხაში. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ისაუბრა „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“ საკითხზე და აღნიშნა, რომ როდესაც ფორმდება ასეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, იმისთვის, რომ არ გაჩნდეს კითხვები, უმჯობესია ჯერ ესკიზური განაშენიანების გეგმის დეტალური განხილვა და შემდეგ გადაწყვეტილების მიღება.

რევაზ სოხაძემ „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ ვალდებულებით, რომლითაც კომპანიას გადაცემული ჰქონდა ქონება, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფასი გამოდის 30 ლარი, ხოლო დღეს წარმოდგენილი ცვლილებებით, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფასი გამოდის 150 ლარამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება გამოწვეულია არა ვინმეს ნება-სურვილიდან გამომდინარე, არამედ დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, მოიძებნა საუკეთესო გამოსავალი, რომ ქალაქმა არ იზარალოს. რაც შეეხება გრგ-ს განხილვას, აღნიშნა, რომ დღეს წარმოდგენილია ხელშეკრულების პირობების ცვლილებება, რისი შემდგომი ეტაპიც არის სწორედ იმის განხილვა, თუ როგორი განაშენიანება მოხდება, სად და რა ტერიტორიაზე გაკეთდება სკვერი და ა.შ. შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ეტაპზე, საკრებულოს უმრავლესობა იზრუნებს იმაზე, რომ იმ ტერიტორიაზე განვითარდეს სრულფასოვანი პარკი. რაც შეეხება თოიძის სახელობის სამხატვრო აკადემიის შენობას, აღნიშნა, რომ შენობა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაიყიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსტრუქტორების რამდენიმე ჯგუფის მიერ დაიდო დასკვნა, რომ შენობა არ ექვემდებარება აღდგენას და განახლებას.

ლილე ლიპარტელიანმა სხდომას გააცნო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ქ.თბილისის საბჭოს 1920 წლის 25 იანვრის სხდომის ამონარიდი: „თბილისის საბჭომ დაადგინა: დაევალოს გამგეობას, აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მთავრობის ხარჯზე, დიდების ტაძრიდან ჩამოხსნილ იქნას ყველა წარწერა, როგორც თვითმპყლობლურ რუსეთის საქართველოზე ძალადობის და თვითნებობის გამომხატველი“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან პირველი რესპუბლიკის პატივისცემაზე

საუბარს, „სასაცილო და ღიმილისმომგვრელი“ უწოდა, რადგან, მისი აზრით, ეს საუბარი „არ სცდება ფარსს“. განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა იციან პირველი რესპუბლიკის ფასი, რადგან სწორედ მათ გააკეთეს ძალიან ბევრი რამ იმისთვის, რომ ჩამოყალიბებულიყო სახელმწიფო. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „ვარდების მოედნისთვის“ სახელის გადარქმევა არის ისტორიის გადაწერა და ღირებულებების აღრევა, თუმცა, ამით „ვარდების რევოლუციის“ მნიშვნელობა არ დაკნინდება, რადგან ეს იყო ხალხის გამარჯვება და ძალიან ბევრი კარგი რამ მოუტანა ქვეყანას.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ სამწუხაროა, როდესაც ოპოზიცია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 100 წლისთავზე ცდილობს, რომ დამოუკიდებლობის იდეას გაუთანაბროს რაიმე სხვა მოვლენა, თუნდაც ეს იყოს რევოლუცია. როდესაც საუბარია ისტორიის გადაწერაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოღებული იქნა ივერიის შენობაში არსებული „გიორგაძის ტიხარი, ბერძენიშვილის პანო და კილაძის რელიეფი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

2. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

3. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

4. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

5. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

6. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

7. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

8. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

9. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

10. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

11. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

12. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

13. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

14. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

15. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

16. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის

განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

20. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ.: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლება მონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.09.443) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უერთდება პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს და მიმართა თინათინ ნიბლოშვილს, უხერხულია ამ თარიღს შეხვდე იმ ფონზე, როდესაც თბილისში არსებობს მოსკოვის გამზირი. ასევე, დაინტერესდა, რატომ არ იმსჯელა კომისიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივაზე, რომ მოსკოვის გამზირს მიენიჭოს არჩილ ტატუნაშვილის სახელი.

თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ სახელდების წესის მიხედვით, ქუჩისთვის სახელის მინიჭების ინიცირების უფლება აქვს საკრებულოს შემადგენლობის 1/3-ს. რაც შეეხება თავად საკითხს, კომისია განიხილავს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებები შედის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. კერძოდ: ბავშვების დაყოფა მოხდება ასაკობრივ ჯგუფებად; სეანსების რაოდენობის განსაზღვრა მოხდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; ორგანიზაციის რეგისტრაციისას სამუშაო გამოცდილება მცირდება სამიდან ერთ წლამდე; ორგანიზაციებს ექნებათ ვალდებულება ჰყავდეთ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ქცევის ანალიზის სპეციალისტი; უქმდება ასაკობრივი უპირატესობა და რიგის მართვა მთლიანად გადავა მომსახურების მომწოდებელ დაწესებულებებთან და ასევე, პროგრამის სტაბილურობის მიზნით, იზრდება თბილისში რეგისტრაციის ვადა 3 წლამდე.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ ცვლილებებს, რომლებიც, მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რადგან უქმდება ასაკობრივი პრიორიტეტი, ასევე, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე

ბავშვები შეძლებენ პირდაპირ მიმართონ კონკრეტულ დაწესებულებას და შესაბამისად, აღარ იქნება მომლოდინეების რიგი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით. იცვლება სააგენტოს სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც უქმდება ოთხი განყოფილება და რამდენიმე საშტატო ერთეული, რაც იწვევს სააგენტოს საერთო საშტატო ერთეულის შემცირებას ექვსი ერთეულით. ასევე, მცირედით გაეზრდებათ ხელფასები თავშესაფრის მომსახურე პერსონალს, მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ტერიტორიის რეპელენტით დამუშავების ტარიფი მცირდება და უტოლდება თვითღირებულებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ.: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“ საკითხი

საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიას ორი წლის ვადაში, 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, უნდა აეშენებინა შენობა-ნაგებობა, გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოფიზიკური ობსერვატორიისთვის. ასევე, ინვესტორის დაინტერესება იყო განეხორციელებინა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, თუმცა, მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, ვერ მოხდა ნებართვის გაცემა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპანიასთან პროექტის კორექტირებაზე და მოსახლეობასთან შეთანხმების მიღწევაზე. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი განსაზღვრულ ვადაში ვერ ხორციელდება ინვესტორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, წარმოდგენილია ვადის გაგრძელება ორი წლით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და აღნიშნა, რომ კომპანიასთან მოლაპარაკებების შედეგად, 2011-2012 წლებში გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე და დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიღწეული იქნა ქალაქისთვის მაქსიმალურად მისაღები გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი გადაეცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 17 პირს და აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, მათ გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლება მონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ რომ მიწის ნაკვეთი გადაეცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 10 ოჯახს და აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, მათ გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება სიმბოლურ ფასად, 27 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგაც ქონება დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს. ტერიტორია არის 2304 კვ.მ., რომელზეც უნდა მოეწყოს მინიმუმ 183 ადგილიანი ავტოსადგომი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიას ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰქონდა რამდენიმე ისეთი ტიპის ვალდებულება, რომლის შესასრულებლად არ არსებობს შესაბამისი ტექნიკა და აქედან გამომდინრე, მოითხოვა ხელშეკრულებიდან ამ ვალდებულების ამოღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18 ოჯახისთვის 18 ერთეული ფართის გადაცემა, რომლის საერთო რაოდენობაა 10022 კვ.მ.-ს. აღსანიშნავია, რომ ეს პირები ამ მისამართზე ცხოვრობენ 1990-2000 წლებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენებულია ე.წ. „გლდანი მოლი“, რომლის პარამეტრები გადმოსულია წითელ ხაზებზე და რადგან გადაცდენები არის ისეთ ზონაზე, რომლის გასხვისება მუნიციპალიტეტს არ შეუძლია, ინვესტორისთვის შეთავაზებული იქნა სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმა, რათა მან შეძლოს შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.09.443) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ბეტონის ნაკეთობების საწარმოს მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ქეთევან მამულაშვილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიიდან გადადის სარევიზიო კომიაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება და განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი